

ANNUAL REPORT  
2018



LOCAL DEMOCRACY AGENCY  
GEORGIA

ადგილობრივი დემოკრატიის  
საბენძომ სუქარტველო

2018



წელს უნებარეში



### ძვირფასო კოლეგებო!

2018 წელი, მსგავსად წინა წლებისა, იყო საინტერესო და გამომწვევებით სავსე. ორგანიზაცია თავის გუნდთან ერთად აგრძელებდა მუშაობას ადგილობრივი დემოკრატიის ხელშეწყობასა და სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცებაზე.

2018 წელს, LDA საქართველოს საქმიანობა ეფუძნებოდა თანამშრომლობის, საქმიანობის დიალოგის და შესაძლებლობების განვითარების პრინციპებს. ვანარმოეთ ადვოკატირებისა და ღობირების საქმიანობა, რომელიც მეტწილად ეხება მარგინალური და სოციალურად მოწყვდიადი ჯგუფების ინტერსების დაცვას.

2018 წელს ორგანიზაციამ შეისწავლა შუამდგომლობა ინკლუზიის, საარჩევნო პროცესზე, შემუშავდა რეკომენდაციები ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის და ამ მიმართულებით მომდევნო წლებშიც გაგრძელება მუშაობა. ჩვენთვის ასევე პრიორიტეტული იყო გენდერული თანასწორობის საკითხი, მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ჩავატარეთ იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის საჭიროებების კვლევა და განვახორციელეთ გამოკვეთილ პრობლემათა ღობირება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე.

ევროკავშირთან ასოცირების პროცესის შესახებ საზოგადოებაში ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, ჩავატარეთ საინფორმაციო კამპანიები სოფლებში, თემებში; პირველად LDA საქართველოს ორგანიზებით, იმერეთის მხარეში, გაიმართა გაეროს მოდელირების საერთაშორისო კონფერენცია; ასევე პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ჩატარდა რეგიონული ფორუმი- მეტი ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში და ბევრი მსგავსი ღონისძიება თუ პროექტი შემოიძლია გავიხსენო, რომლის მთავარი მიზანი ერთის მხრივ იყო, რომ მაქსიმალურად რეგიონის დონეზე გვემსჯელა მუნიციპალიტეტებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, და მეორეს მხრივ მეტი დაინტერესებული აქტორისთვის მიგვეცა შესაძლებლობა ღონისძიებაში მონაწილეობის.

2018 წელს შევიმუშავეთ ორგანიზაციის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, ასევე შეიქმნა საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგია და განისაზღვარა ორგანიზაციის მკაფიო ხედვა LDA საქართველოს 2019-2022 წლებში მუშაობის, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში შეიქმნას ძლიერი და დამოუკიდებელი თვითმმართველობის ინსტიტუტი, რომელსაც ექნება საკმარისი უფლებამოსილება, შესაძლებლობები და რესურსი, უზრუნველყოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების უფექტური მართვა და მოქალაქეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა. ამ მიზნისთვის მნიშვნელოვანია ადგილებზე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და რეფორმების თანმიმდევრული გაგრძელება.

გვწამს, რომ კონკრეტული შედეგების კონსოლიდაცია და დინამიური დემოკრატიული პროცესების მიღწევა შესაძლებელია იქ, სადაც ძლიერია თავად საზოგადოება.

**პატივისცემით,  
ნინო ხუხუა  
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო  
საქართველო**





### ადგილობრივი დემოკრატიის საბაზო საპარტოველო მეგობრებო, კოლეგებო!

ჩემთვის დიდი პატივია, წარმოგიდგინოთ ადგილობრივი დემოკრატიის საბაზო საპარტოველო მეგობრებო, 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. დარწმუნებული ვარ, აღნიშნული ანგარიშის გაცნობა საშუალებას მოგცემთ გააანალიზოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ის საქმიანობა, რომელსაც ორგანიზაცია ახორციელებს. LDA საქართველო, როგორც სამხრეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ასევე მთელს ევროპაში წარმოადგენს ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისათვის - ALDA-ს მუშაობის მნიშვნელოვან ნაწილს. ჩვენი გუნდი ქუთაისში და იმერეთის მხარეში ატარებს ევროპულ ღირებულებებს მშვიდობის, დემოკრატიის, სოლიდარობის, სუბსიდიურობისა და მოქალაქეთა მონაწილეობით სხვადასხვა საქმიანობაში, რითაც ძალიან ვამაყობ!

ჩვენ, ქართველ კოლეგებთან და წევრებთან ერთად (რადგან ALDA-ს ქსელს ბევრი მუნიციპალიტეტი შეუერთდა) ვისახავთ ALDA-ს ძირითად მიზნებს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის, როგორც დემოკრატიისა და განვითარებისათვის უმთავრესი ელემენტის ხელშეწყობა-მხოლდ ძლიერი თვითმმართველობის საშუალებით არის შესაძლებელი უფრო სტაბილური და გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ფიქრი. იგივე უნდა გავუდგინოთ სამოქალაქო საზოგადოების დონეზე, რისთვისაც საჭიროა საზოგადოებაში მისი როლის აღიარება და უფრო მეტად გაუმჯობესება მოქალაქეთა ხმისა და საჭიროებების გამოსავლენად.

მონაწილეობითი დემოკრატიის მაგალითების ხელშეწყობა (როგორ შეიძლება იმუშაოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოქალაქეებთან) პრობლემების აღმოსაფხვრელად ადგილობრივ დონეზე. დღევანდელ საზოგადოებაში აუცილებელია, მონაწილეობითი დემოკრატიისა და მონაწილეობის ინსტრუმენტების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

- ადგილობრივი დემოკრატიის კავშირი ადგილობრივ განვითარებასთან - სამოქალაქო ინტერესის გამოვლენა და ჩართულობა, მდგრადი და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების გასაღებია. ჩვენ გვაქვს მზარდი რიცხვი მაგალითებისა, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს ადგილობრივი კარგი მმართველობის მიდგომა ადგილობრივ მცირე ეკონომიკურ აქტივობებს.

- მეტად ევროპული საქართველო: ALDA-ს თავის პარტნიორობებთან და წევრებთან ერთად აქვს ევროპული მმართველობის მიდგომა, რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებებსა და სუბსიდიურობას. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოში ევროპულ მისწრაფებას.

- ჩვენი შესანიშნავი გუნდის მხარდაჭერით, მოუთმენილად ვეძიებთ სამომავლო თანამშრომლობას რეგიონში.

ანტონელა ვადმორბიდა, ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისთვის-ALDA გენერალური მდივანი

- ჩვენი შესანიშნავი გუნდის მხარდაჭერით, მოუთმენილად ვეძიებთ სამომავლო თანამშრომლობას რეგიონში.

ანტონელა ვადმორბიდა, ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისთვის - ALDA გენერალური მდივანი

## ადგილობრივი თვითმმართველობის და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება აქტიური მოქალაქეებისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა

### სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა იმერეთის რეგიონული ჰაბი

საქართველოს რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტი ინსტრუმენტია იმისთვის, რომ შეძლოს საზოგადოების მობილიზება დემოკრატიული ღირებულებების განშემო. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ ისწავლა პრიორიტეტების სწორად დასახვა, შედარებით კარგად ფლობს მიზნობრივი ჯგუფის გამოკვეთის ტექნიკას და აქვს პროექტების განხორციელების გამოცდილება, ჯერ კიდევ სუსტია მათი სოციალური დასაყრდენი და წარმომადგენლობა. არ არის უზრუნველყოფილი ფინანსური მდგრადობა, ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება, მაღალი პასუხისმგებლობა და გამჭვირვალობა. უნდა ითქვას, რომ ეს სურათი, გარკვეულწილად სტატისტიკურია და წლიდან წლამდე მცირედით თუ იცვლება.

აღნიშნული რეალობიდან გამომდინარე, იმერეთის რეგიონებში HUB-ი არის ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობა სამოქალაქო საზოგადოების უკეთ მობილიზებისა და გაძლიერებისთვის.

HUB-ის მიზანია ხელი შეუწყოს რეგიონის დონეზე სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებისა და განსხვავებული გამოცდილების მქონე პირებისათვის საერთო სივრცის შექმნას. HUB-ის შექმნა ერთის მხრივ არის ერთგვარი ინოვაციის შემოტანა ჩვენს სფეროში და ბიძგი სიახლისკენ, მეორეს მხრივ კი გრძელვადიანი სისტემური პლატფორმის შექმნა.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში LDA საქართველომ პროექტის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები გამართა იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტში. შეხვედრებს დაესწრნენ როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირები, ასევე ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წევრები. საინფორმაციო შეხვედრები ძირითადად მოიცავდა შემდეგ საკითხებს: პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების გაცნობა, საკონსულტაციო შეხვედრები, საჭიროებების კვლევა, ეფექტური მონიტორინგის მექანიზმები.

**რეგიონული HUB-ი იმუშავებს ოთხი სტრატეგიული მიმართულებით, კერძოდ:**

- სამოქალაქო საზოგადოების ფინანსური სტაბილურობის გაზრდა;
- სამოქალაქო საზოგადოების ანგარიშვალდებულების გაზრდა და საზოგადოებრივი განწყობების გაუმჯობესება;
- სამოქალაქო საზოგადოების აქტივობების უნარ-ჩვევების გაძლიერება;
- სამოქალაქო საზოგადოების აქტივობების როლის გაზრდა საჯარო პოლიტიკაში.





გარდა ამისა, ფუნქციონირება დაიწყო რეგიონული შაბის ცხედმა ხაზმა. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევთ, მიიღონ მათთვის სასურველი სამართლებრივი კონსულტაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩამოყალიბებასთან და განვითარებასთან დაკავშირებით. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ოფიციალურ ვებ-გვერდს დაემატა ცაღვე განყოფილება, სადაც ასახულია შაბის საქმიანობა და აგრეთვე, იმერეთში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია. ყველაზე მნიშვნელოვანი კი გახდა ის ფაქტი, რომ მოძიებულ იქნა ინფორმაცია იმერეთში მოქმედი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ და გამოიცა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საინფორმაციო ცნობარი.

2018 წლის 22 ივნისს, იმერეთის რეგიონულმა შაბმა უმახსინდლა მოხადისეობის ფორუმს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აღნიშნულმა ფორუმმა ერთმანეთთან დააკავშირა



მოხადისეობის მაძიებელი ორგანიზაციები და მოხადისეობის მსურველი პირები. ფორუმში მონაწილეობა 40 ორგანიზაციამ მიიღო, მათ შორის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, თვითმმართველობის, ბიზნესისა და მედია საშუალებების წარმომადგენლებმა.

პროექტი "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ხორციელდება კონრადადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), ტრენინგის და კონსულტაციის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევის და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) პარტნიორობით.



### მეტი ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო უკვე მრავალი წელია აქტიურად მუშაობს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფების პრობლემების ადვოკატირების მიზნით მთელი საქართველოს მასშტაბით. თითქმის არასდროს, იშვიათი გამონაკლისების გარდა სტეიქჰოლდერები ნაკლებად წარმართავს საადვოკაციო კამპანიას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ქალებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

2017-2018 წელს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ განახორციელა პროექტი "მეტი ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში". პროექტის მიზანი გახლდათ იმერეთის მხარეში პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებში ქალი ამომრჩევლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ასახვის ხელშეწყობა და მათი ადვოკატირება. პროექტი ორი ეტაპისაგან შედგებოდა და მოიცავდა წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდებს.





პროექტის პირველ ეტაპზე იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტში ჩატარდა 12 ფოკუს ჯგუფის ინტერვიუ, რომელსაც დაესწრნენ სხვადასხვა ასაკისა და სტატუსის ქალები. შეიქმნა იმერეთის მხარის თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით ქალი ამომრჩევლების მიერ დასახელებული პრობლემების დოკუმენტი, სადაც ასევე შემუშავებული იქნა კონკრეტული რეკომენდაციები მუნიციპალიტეტების მიხედვით გენდერული თანასწორობის პოლიტიკის კუთხით. მოხდა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების გადამზადება და იდენტიფიცირებული საჭიროებების წარდგენა.

პროექტის ფარგლებში მომზადდა 12 სუფეტი იმერეთის მხარის 12 მუნიციპალიტეტში ქალი ამომრჩევლების პრობლემების შესახებ, სადაც საუბარი შეხვო იმ პრობლემებს, რომელიც აქტუალურია თემში/სოფელში/ქალაქში მცხოვრები ქალებისთვის. მომზადდა 12 სატელევიზიო და 12 რადიოგადაცემა, სადაც მოწვეულნი იყვნენ მუნიციპალიტეტის აქტიური ქალები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ისაუბრეს როგორც მუნიციპალიტეტში ქალი ამომრჩევლების პრობლემებზე, ასევე გენდერული პოლიტიკის კუთხით მუნიციპალიტეტის ხედვაზე.

LDA Georgia-ს ორგანიზებითა და იმერეთის კონფერენცია - მეტი „ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ იმერეთის მხარეში, რომლის მიზანი იყო, იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდება ქალთა საჭიროებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული პოლიტიკის პრინციპების შესახებ.

კონფერენცია გაიხსნა პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის - თამარ ჩუგოშვილის, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტის (ACCESS) ორგანიზაციული განვითარების მენეჯერის- თამარ გურჩიანის და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის- ნინო ხუხუას მისასალმებელი სიტყვებით. კონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ 90-მდე სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი (იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები).



## შემუშავებული რეკომენდაციები

- ადგილობრივი პოლიტიკური სუბიექტების სამიზნე უნდა გახდეს მიგრაციის მასშტაბების შესწავლა, მისი მიზეზების ანალიზი, საზოგადოების აქტიურ ნაწილთან ერთად მისი პრევენციის მექანიზმების შემუშავება;
- ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიებს უნდა შეეძლოთ ყველა კერძო შემთხვევის კონტროლი და ადვოკატირება, როცა განსაკუთრებით მოწვევლად ოჯახებს ეხსნებათ სოციალური დახმარება და დასახული უნდა იყოს მათი მოწვევადობის შემცირების სტრატეგია.

- სასურველია, პოლიტიკურმა პარტიებმა დაარწმუნონ ქალი ამომრჩევლები, რომ მათთან კომუნიკაცია არ დამთავრდება არჩევნების დასრულებით.
- სასარგებლო იქნება, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა მოქალაქეებს დაანახონ ადგილობრივი რეალობისათვის პერსპექტიული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტირები, სათანადო პოლიტიკური პასუხისმგებლობა მათი რეალიზებისათვის.

- საჭიროა, პოლიტიკურმა ძალებმა მოსახლეობასთან კომუნიკაცია დაიწყონ ახალი სერვისების შეთავაზებით, მოქნილი სოციალური და ახალგაზრდული პოლიტიკით, მოქალაქეების კეთილდღეობის გაზრდის რეალისტური და კონკრეტული გეგმებით და პროგრამებით;
- მიზანშეწონილია, ადგილობრივმა პოლიტიკურმა პარტიებმა ახელი შეუწყონ მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციონირებას, როგორც გენდერული მენისტრიმინგის უზრუნველყოფის მექანიზმს.

- მნიშვნელოვანია, პოლიტიკურმა პარტიებმა წარმოადგინონ ხედვა ქალთა კეთილდღეობის გაზრდისკენ მიმართულ ღონისძიებებზე.
- სასურველია, ადგილობრივმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა ხელი შეუწყონ მოქალაქეთა „სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულების სინდრომის“ გაუყენებლყოფას.
- საჭიროა, ადგილობრივი პოლიტიკა გახდეს ბევრად უფრო მკაცრი და პრინციპული გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებისას. დანერგოს მონიტორინგის, მკაცრი სანქციების რეჟიმი.

- საჭიროა, პოლიტიკურმა პარტიებმა მაქსიმალურად შეისწავლონ სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული ხარვეზები, სერვისის საჭიროების მქონე ბენეფიციარების რაოდენობა, მაქსიმალურად იქნეს მხარდაჭერილი და გამოყენებული კერძო ბალების ქსელი, ასევე გაგრძელდეს და გაფართოვდეს გარე რესურსების (ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების) მოზიდვის მეთოდოლოგია და პრაქტიკა.
- საჭიროა, პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარ პროგრამებში უფრო დამაჯერებლად ასახონ საკუთარი საკადრო პოლიტიკის ნიშნულები, რომელიც თავისუფალი იქნება ნეპოტიზმისგან, პოლიტიკური ნიშნით შერჩევისაგან.

**მოქალაქეთა ინიციატივა ანგარიშვალდებული თვითმმართველობისათვის**

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო იზიარებს მოსაზრებას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობა დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი და მისი შეფასების მთავარი ინდიკატორია.

პროექტი „მოქალაქეთა ინიციატივა ანგარიშვალდებული თვითმმართველობისათვის“ მოიცავს მოქალაქეთა ჩართულობას როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის ანალიზში, ასევე ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებების ადვოკატირებასა და ლობირებაში. მნიშვნელოვანია ადგილობრივ მთავრობასა და არასახელმწიფო აქტორებს შორის ჩართულობის მდგრადი სისტემის შექმნა მათ შორის ფორუმების, დისკუსიებისა, თუ შეხვედრების სახით. პროექტში ჩაერთვება ყველა ის აქტორი, რომლებიც გაერთიანდებიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულებისა და ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში. პროექტის მიზანია, უზრუნველყოს იმერეთის მხარის ბაღდათის მუნიციპალიტეტში ეფექტური თვითმმართველობის განხორციელება, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში - ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის სისტემური ანგარიშგებისა და უწყვეტი დიალოგის მეშვეობით.

2018 წელს, პროექტის ფარგლებში, ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტში.



ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ, ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში გამართა მოქალაქეთა ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ, მუნიციპალიტეტის მერმა, მერიის სამსახურების უფროსებმა და მერის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციულ ერთეულებში. საერთო ჯამში ფორუმს ესწრებოდა 200-მდე ადამიანი.

ფორუმის ჩატარების მიზანი გახლდათ მუნიციპალურ დონეზე ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, რათა მოხდეს მომდევნო 2019 წლის ბიუჯეტის სწორად განსაზღვრა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება.

მოქალაქეთა ფორუმზე ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ წარდგენილი იქნა ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი და ასევე ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჩატარებული კვლევის შედეგები, სადაც აქცენტი გაკეთდა შემდეგ საკითხებზე:

სოციალური ინფრასტრუქტურა; სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი; ადგილობრივი დასაქმების შესაძლებლობა; პროფესიული განათლების პროგრამები; სოციალური სერვისები; გარემოს დაცვა; ჯანდაცვა, მიგრაცია და ა.შ. პროექტის მეორე ეტაპზე იგეგმება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოებთან მუშაობა.

ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში გამოიკითხა ფოკუს-ჯგუფები; ჩატარდა მასშტაბური მოქალაქეთა ფორუმი; შეიქმნა საჭიროებების დოკუმენტი, რომელიც წარედგინა მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის წარმომადგენლებს; შეიქმნა საინიციატივო საბჭოები; გაიმართა შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატში და ეთერში გავიდა ორი სატელევიზიო გადაცემა, მუნიციპალიტეტების მერების მონაწილეობით.



**შპს პირთა პოლიტიკური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება**

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ განახორციელა პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება“, რომლის მიზანი იყო შპს პირთა პოლიტიკური და საარჩევნო უფლებების რეალიზების ხელშეწყობა, არჩევნების სამართლიანად/დემოკრატიულად ჩატარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების გაზრდა, საარჩევნო პროცესებისა და ამ პროცესებში არსებული კანონმდებლობის ანალიზის, საერთაშორისო სტანდარტებისა და კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანისგან.

პროექტი დაფინანსებულია "ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ეფექტიანი მმართველობისთვის" პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება World Vision საქართველოს, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (საეა) და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.



შპმ პირების პოლიტიკური და საარჩევნო უფლებების რეალიზების შესწავლის ფარგლებში ქვე-გრანტიორი ორგანიზაციის (ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო) მიერ, შეთანხმებული განრიგის და მეთოდოლოგიის მიხედვით დაიგეგმა და განხორციელდა კვლევითი საქმიანობა. შეიქმნა მკვლევარის მიერ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდა კვლევითი საქმიანობა.

შესაბამისად, პროექტის განხორციელების შედეგად დაგროვებული გამოცდილებითა და უშუალოდ სამიზნე ჯგუფებთან მუშაობის შედეგად, საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, რეკომენდაციები ორი ჯგუფის სახით შემუშავდა:

ა) რეკომენდაციები, რომლებიც ეხება შემზღვეული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უზრუნველყოფას;

ბ) რეკომენდაციები, რომლებიც ეხება შპმ პირთა საარჩევნო და პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობას; აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს:

- შპმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება, რაც განამტკიცებს შპმ პირთა უფლებების დაცვის გარანტიებს და მისცემს შესაძლებლობას შპმ პირებს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად მიმართონ გარეოს შპმ პირთა საკითხებზე მომუშავე კომიტეტს კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში;
- „გონივრული მისადაგების“ პრინციპის ასახვა კანონმდებლობაში;
- კონვენციით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყების განსაზღვრა;
- კოორდინაციის გაძლიერება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და ნაკისრი ვალდებულების სრულყოფილი შესრულება – ადგილობრივი დონეზე შპმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნისა და ამოქმედების კუთხით. თუმცა ნაკლებად სასურველია ტიპური დებულების გამოყენება, უმჯობესია მუნიციპალიტეტებმა ადგილობრივი საჭიროებებისა და გარემოს გათვალისწინებით შეიმუშაონ და დაამტკიცონ დებულებები, ასევე სამოქმედო გეგმები;
- გარემოს ადაპტირების კუთხით კონსოლიდირებული მიდგომის შემუშავება; (საარჩევნო უბნებისათვის შენობების გამოყოფა ისევე როგორც მისასვლელი გზების ადაპტირება წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციას, ხოლო მათი რესურსი საკმაოდ შემზღვეულია. პირველ ეტაპზე სასურველია მოხდეს ერთგვარი გეგმის შემუშავება პრიორიტეტული ადგილებისა და მიმართულებების იდენტიფიცირება და შემდგომ ეტაპობრივად ამ ადგილების ადაპტირება. მნიშვნელოვანია სტანდარტების შესაბამისად ადაპტირებული შენობების შერჩევა საარჩევნო უბნებისათვის. მნიშვნელოვანი იქნება თუ ცესკო თავის წილ პასუხისმგებლობასაც გაიზიარებს აღნიშნული მიმართულებით. შესაძლოა დათქმა გაკეთდეს და სავალდებულო გახდეს მინიმუმ 30% ის ოდენობით ადაპტირებული საარჩევნო უბნების არსებობა. აღნიშნული საკითხები უნდა შეადგენდეს შპმ პირთა საბჭოების განსახილველ საკითხებს და სასურველია მტკიცდებოდეს სამოქმედო გეგმების და სტრატეგიების ფორმატში).

- მუშაობის გაგრძელება ცესკოს ინიციატივითა და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით არჩევნებში ალტერნატიული ფორმებით მონაწილეობის თაობაზე;
- აქტიური საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე;
- თანამშრომლობის გაძლიერება უწყებებს შორის შპმ პირთა საარჩევნო და პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის კუთხით; შეიქმნას ეფექტური ფორმატი სხვადასხვა უწყების ჩართულობით. სასურველია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ აღნიშნულ ფორმატებში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანოების თანამშრომელთა გადამზადება შპმ პირთა უფლებების კუთხით, რათა მათ შეძლონ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვება, შპმ პირთა თემის საჭიროებების იდენტიფიცირება და ამ საჭიროებების წარმატებით ადვოკატირება ადგილობრივ დონეზე; მხარდაჭერის მიმღებ პირთა მიმართ არსებული სასამართლო პრაქტიკის დახვეწა.
- მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოებში არსებობდეს სტანდარტი, რომლის მიხედვით, მოსამართლე ვალდებული იქნება მხარდასაჭერი სფეროები და ფარგლები განსაზღვროს პირის ინდივიდუალური ფსიქოსოციალური საჭიროებიდან და მისი ინტერესებიდან გამომდინარე. ამისათვის ასევე საჭიროა, რომ ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების შეფასებისას გამოიყენოს ინდივიდუალიზებული მიდგომა;



**ევროინფორმაციისა და ევროკული ღირებულებების ხელშეწყობა იმერეთის მხარეში ევროკავშირთან ასოცირების პროცესის შესახებ საზოგადოებაში ინფორმირებულობის გაზრდა**

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს განსაკუთრებული ყურადღების საგანია საზოგადოების ინფორმირებულობა ასოცირების შეთანხმებისა და მისგან გამომდინარე დოკუმენტებით გათვალისწინებული საკითხების შესახებ. მთავარ გამოწვევად რეგონებში კვლავ რჩება საზოგადოების ინფორმირებულობის პრობლემა- რისი აღმოფხვრის მიზნით GIZ -ის მხარდაჭერით განახორციელა პროექტი - „იმერეთის მხარეში ევროკავშირთან ასოცირების პროცესის შესახებ საზოგადოებაში ინფორმირებულობის გაზრდა“, რომლის მიზანი გახლდათ, იმერეთის რეგიონის 12-ვე

მუნიციპალიტეტში საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ასოცირების შეთანხმების 21-ე თავის - „რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე“ შესახებ.

პროექტის მიზნის მისაღწევად, LDA საქართველომ განახორციელა საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, მოსახლეობასთან, ადგილობრივ ახალგაზრდებთან, სამოქალაქო საზოგადოების და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანი გახლდათ, იმერეთის რეგიონის 12-ვე მუნიციპალიტეტში საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ასოცირების შეთანხმების 21-ე თავის შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე, ინფორმაცია მიიღეს 2014-2021 წლის რეგიონული განვითარების სტრატეგიის შესახებ.



პროექტის ფარგლებში, იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში ჩატარდა ქუჩის კამპანია-„რეგიონის განვითარება ნიშნავს...!“ .კამპანიის ფარგლებში მომზადდა ვიდეომასალა, რომელიც გავრცელდა ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე- [www.ldageorgia.ge](http://www.ldageorgia.ge) და სოციალურ ქსელში- Facebook; Youtube.

კამპანიის ფარგლებში ასევე დაიბეჭდა პოსტერები, რომლებიც ასახავს ასოცირების შესახებ შეთანხმების 21-ე თავით გათვალისწინებულ ცვლილებებს, საქართველოს რეგიონალური განვითარების პროგრამას, იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიას და ა.შ.

პროექტის აქტივობები აქტიურად შექმნიდა ტელე, რადიო და ბეჭდური გამოცემების მიერ. ჩვენ ასევე ვაქვეყნებდით ინფორმაციას ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. პროექტის ფარგლებში ასევე მოვამზადეთ მოკლე ვიდეოები, რომელიც ასახავდა მოსახლეობის მოსაზრებებს რეგიონის განვითარებასთან დაკავშირებით. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მომზადდა ექვსი რადიოგადაცემა. გადაცემების ძირითადი თემები იყო:



- იმერეთის რეგიონული განვითარების ხედვა და პრიორიტეტები;
- რეგიონის სოციალური განვითარება;
- რეგიონალური ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა;
- საბაზისო ინფრასტრუქტურისა და საჯარო სერვისების მოწესრიგების უზრუნველყოფა
- იმერეთის რეგიონის განვითარების ძირითადი საჭიროებები.

2019 წელს იგეგმება სამეგრელო -მემო სვანეთის მხარეში ევროკავშირთან ასოცირების პროცესის

შესახებ საზოგადოებაში ინფორმირებულობის გაზრდა.

### გაეროს მოდელირების საერთაშორისო კონფერენცია



ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ ქუთაისის მერიასთან, გაეროს განვითარების ფონდთან- UNDP და მშვიდობის კორპუსთან თანამშრომლობით, ორგანიზება გაუწია გაეროს მოდელირების საერთაშორისო კონფერენციას (MUN) ქალაქ ქუთაისში. 2018 წლის 12-15 სექტემბერს გამართულ კონფერენციას მასპინძლობდა ქ.ქუთაისში მდებარე საქართველოს პარლამენტი.

გაეროს მოდელირებაში მონაწილეობა 18-დან 25 წლამდე ასაკის 58 ახალგაზრდამ მიიღო, საიდანაც 33 ქუთაისის მუნიციპალიტეტიდან, ხოლო 25 ქ.ქუთაისთან დაძმობილებული ქალაქებიდან, ევროპისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან იყვნენ.





კონფერენციის პირველ დღეს ქართველი და უცხოელი მონაწილეებისათვის ჩატარდა ტრენინგი, რომელიც მოიცავდა შემდეგ თემებს: რა არის გაეროს მოდელირებულ კონფერენცია, გაეროს

მოდელირების ძირითადი წესები, რა არის რეზოლუცია და პოზიციის განაცხადი. კონფერენციის მეორე დღეს საკომიტეტო სესიები საქართველოს პარლამენტში ჩატარდა.



ჟიურიმ, რომელიც პროცესების მიმდინარეობას ორი დღის განმავლობაში აკვირდებოდა, გამარჯვებულები სამ ნომინაციაში გამოავლინა: საუკეთესო პოზიციის განაცხადი, საუკეთესო სპიკერი, საუკეთესო დელეგაცია.

დაჯილდოების ცერემონიალს იმერეთის გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალაიშვილთან, ქუთაისის მერის მოადგილე - ნინო თვალთვაძესთან და ქუთაისის საკრებულოს წევრებთან ერთად დაესწრნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესტონეთიდან, აზერბაიჯანიდან და პოლონეთიდან.

კონფერენცია არაფორმალურ ნაწილსაც მოიცავდა, რომლის ფარგლებშიც, ქართველმა და უცხოელმა ახალგაზრდებმა, ქალაქის ღირსშესანიშნაობები ერთად მოინახულეს.



**საქართველოს ერთგვარი პლატფორმის მხარდაჭერა თანაბარი, ღია და დემოკრატიული საზოგადოებისათვის**

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო გახლავთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეროვნული პლატფორმის წარმომადგენელი და CSF ეროვნული პლატფორმის IV სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ორგანიზაცია. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი - ნინო ხუხუა, არჩეული იქნა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორად, ეროვნული პლატფორმის რიგით მე-9 საერთო კრებაზე.



2018 წელს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ორგანიზებით აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა.

მემორანდუმის მიზანია ურთიერთთანამშრომლობა ქუთაისის მერიასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისთვის, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების 372-ე მუხლის შესაბამისად, რაც გულისხმობს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის „კომუნიკაციის არხების ჩამოყალიბებასა და ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის სისტემის განმტკიცებას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, სოციალურ და ეკონომიკურ აქტორებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის“. ორგანიზაცია მონაწილეობდა ევროპული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში სახელწოდებით - "ევრო სოფელი", რომელიც ემსახურებოდა საერთო ევროპული მემკვიდრეობის წარმოჩენას.





## თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების თაობაზე, საზოგადოების ინფორმირებულობა



ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ, პროექტ „იმერეთის მხარეში, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) თაობაზე, მოქალაქეთა ინფორმირება“ შესახებ, იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისთვის საინფორმაციო შეხვედრები გამართა, რომელთაც რეგიონული სამოქალაქო საზოგადოებრივი, მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. აღნიშნული შეხვედრების მონაწილეებს მიენოლათ ინფორმაცია, როგორც პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესახებ, აგრეთვე თავად ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) იმპლემენტაციის, მისი თანმდევი საკითხებისა და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ. პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა სატელევიზიო გადაცემა.



პროექტის მიზანი გახლდათ, DCFTA-ს განხორციელების პროცესის მხარდაჭერის მისაღწევად, მოსახლეობის უკეთ ინფორმირების ხელშეწყობა. ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე (DCFTA) არის ევროპულ კავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების ნაწილი.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, პროექტის "საქართველო ევროპულ გზაზე: DCFTA-სა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა" ფარგლებში.

## ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა

### ახალგაზრდული კლუბი



2018 წელს, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო ორგანიზაციის ბაზაზე არსებული ახალგაზრდული კლუბის საქმიანობის განვითარება. მთელი წლის განმავლობაში, ჩვენი კლუბის 20 წევრთან ერთად ვატარებდით რეგულარულ შეხვედრებს. მათ მონაწილეობა მიიღეს მოხალისეობრივ აქტივობებში, ჩაერთნენ ტრენინგებში,

ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამებში (ERASMUS +), ინგლისური ენის კლუბში და სხვადასხვა სოციალურ კამპანიაში.



LDA საქართველოს მშვიდობის კორუსის მოხალისეს, ერან მაქეოუნის მიერ შემუშავებული ტრენინგების დახმარებით, ახალგაზრდული კლუბის წევრებმა გაირღმავეს თავიანთი ცოდნა და განავითარეს უნარები სხვადასხვა სფეროში, როგორცაა: ლიდერობა, პროექტის წერა და მენეჯმენტი, სამუშაოს ძიების უნარი, სოციალური მედია და ა.შ.

## კამპანია „არა ქალთა მიმართ ძალადობას - ერთი მილიარდი ამბოხებული“



ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, LDA საქართველოს ახალგაზრდული კლუბის ორგანიზებით, ქუთაისის ცენტრალურ პარკში გამართეს ღონისძიება - „ერთი მილიარდი ამბოხებული“. LDA საქართველოს ახალგაზრდული კლუბის წევრებმა მოაწყვეს ქუჩის აქტივობები, მათ შორის, ფლეშმობი. LDA საქართველოს ახალგაზრდულმა

კლუბმა უზრუნველყო ქუჩის აქტივობების განხორციელება, მათ შორის, ფლეშ მობ ცეკვა, რომელიც ემსახურებოდა გენდერული ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რაც საქართველოში პრობლემად რჩება.

ერთი მილიარდი ამბოხებული არის ყველაზე დიდი გლობალური კამპანია, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის დასრულებას უწყობს ხელს. კამპანია პირველად ჩატარდა 2012 წლის ვალენტინობის დღეს, 14 თებერვალს. ამ დროიდან, აღნიშნულ კამპანიას მსოფლიოს მასშტაბით ბევრი საინიციატივო ჯგუფი შეუერთდა. კამპანიის პარტნიორები და მხარდაჭერები იყვნენ ქუთაისის მერია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი, რესტორანი პალატი და ტელე-რადიო კომპანია რიონი.





**Erasmus+ “Start Up Green” გაცვლითი პროგრამა ქობულეთში**

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ, 2018 წლის 6-12 მაისს, საქართველოში ახალგაზრდული გაცვლით პროექტს უმასპინძლა, რომელიც დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ პროგრამის “Erasmus +” ფარგლებში.



ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა “Start Up Green/მწვანე სტარტაპი” მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში იმ უნარების გაღრმავებას, რაც ხელს შეუწყობს მწვანე მენარმეობის განვითარებას. პროექტში სხვადასხვა ქვეყნის (სომხეთი, დანია, საქართველო, იორდანია, იტალია, ესპანეთი, უკრაინა) 18-30 წლამდე ასაკის 43 წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

**ახალგაზრდული გაცვლითი პროექტი “N.A.T.U.R.E” იტალიაში**

LDA საქართველოს ახალგაზრდული გუნდი Erasmus +ის დაფინანსებული პროექტის “N.A.T.U.T.R.E+” ფარგლებში იტალიაში, ქალაქმორფასოში იმყოფებოდა.

როექტის მიზანი გახლდათ, მონაწილეებს უფრო მეტი დრო გაეტარებინათ სოციალური ქსელებისგან შორს და ბუნებასთან ახლოს. ესწავლათ, თუ როგორ შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი თავი ბუნების, ხელოვნების და ტექნოლოგიების მეშვეობით. 3-10 ივლისს, 7 დღის განმავლობაში პროექტის მონაწილეები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე, ბუნებასთან მაქსიმალურ სიახლოვეში ცხოვრობდნენ.

პროექტი არაფორმალური განათლების პრინციპით ჩატარდა. ახალგაზრდები ჩაერთნენ როლურ და სიმულაციურ თამაშებში, მოაწყვეს ინტერაქტიული პრეზენტაციები, დაესწრნენ პრაქტიკულ სემინარებს, მოამზადეს ვიდეოსიუჟეტები და განავითარეს გუნდური მუშაობის უნარი.



**Erasmus+ “Wedding Mix” ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა ესპანეთში**

სარაგოსაში, ესპანეთში Erasmus+ ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მიიღო LDA საქართველოს მიერ გაგზავნილმა დელეგაციამ, რომელიც დაკომპლექტებული გახლდათ ორგანიზაციის ახალგაზრდა ლიდერებით და ტრენერებით. აღნიშნულმა პროექტმა - „შერეული ქორწინება Wedding M.I.X. (Multiculturalism Instead of Xenophobia)“, მოიცვა 18-28 აგვისტოს თვის პერიოდი. პროექტში ჩართულნი იყვნენ მონაწილეები ხორვატიიდან, საქართველოდან, იტალიიდან, ესპანეთიდან და ტუნისიდან.



პროექტში მონაწილეობა მიიღო განსხვავებული საჭიროებების, შესაძლებლობებისა და კულტურის მქონე 40-ზე მეტმა ახალგაზრდამ. ყოველი დღის ბოლოს ეწყობოდა ტრადიციული საქორწილო ცერემონიები. სამუშაო დღის სესიების განმავლობაში, მონაწილეები განიხილავდნენ ქორწილებთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორცაა: საკვები ნარჩენები, ალკოჰოლის მოხმარება, სექსუალური განათლება, ლგბტქ+, ქალთა უფლებები, რელიგიადასხვა.

**ქართველმა მოხალისეებმა საფრანგეთში ევროპის მოხალისეობრივი პროგრამა დაასრულეს**



ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო გახლავთ ევროპულ მოხალისეობრივ პროექტში გამგზავნი ორგანიზაციის აკრედიტაციის მქონე ორგანიზაცია.

LDA საქართველო-ს მიერ გაგზავნილმა ქართველმა მოხალისეებმა, მაგდა ფურცხვანიძემ და შალვა ჩხეიძემ ევროპის მოხალისეობრივი პროექტი-EVS დაასრულეს და საქართველოში დაბრუნდნენ.

მოხალისეები საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, 2017 წლის სექტემბერში გაემგზავრნენ და თორმეტი თვის განმავლობაში, ევროპის ათი ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად, ჩართული იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაცია “MEBA-ევროპის სახლის” მიერ ორგანიზებულ მოხალისეობრივ პროექტში - “ევროპული ღირებულებების ელჩები - Ambassadors of European values“. აღნიშნული მოხალისეობრივი პროექტის ძირითადი მიზანი გახლდათ ფრანგ მოსწავლეებს, მოზარდებსა და ზრდასრულებში, არაფორმალური განათლების გზით, ევროპული ღირებულებების შესახებ ცობიერების ამაღლება.

მოხალისეები ატარებდნენ ტენინგებს, სემინარებს, კულტურულ-შემეცნებით სადამოუბეს, მონაწილეობას იღებდნენ საჯარო კონფერენციებში, ამზადებდნენ რადიოსიუჟეტებს და აქტიურად თანამშრომლობდნენ ადგილობრივ პრესასთან.



ევროპის მოხალისეთბრივი პროექტი დაასრულა კიდევ ერთმა ახალგაზრდამ, ნინო ალავიძემ, რომელიც მოხალისეთბრივ საქმიანობას ქალაქ სტრასბურგის მერიაში ახორციელებდა.

ნინო სტრასბურგის მერიის „უმაღლესი განათლების, კვლევის და ინოვაციის“ დეპარტამენტის გუნდის წევრი გახლდათ. მას ჰქონდა შანსი და შესაძლებლობა, ეცხოვრა და მიეღო სამუშაო გამოცდილება ქალაქში, რომელსაც ევროპის გულს უწოდებენ. ნინომ, ასევე გაიუმჯობესა ცოდნა საფრანგეთში არსებული საგანმანათლებლო სისტემის შესახებ. მან მიიღო საუკეთესო პრაქტიკა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შევუწყობო ხელი საერთაშორისო სტუდენტების ადგილობრივ სტუდენტებთან ინტეგრაციას

## სხვადასხვა

### შეხვედრა ALDA-ს წევრ და წევრობის მსურველ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ორგანიზებით, ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისათვის (ALDA) აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კოორდინატორი, ალექსანდრე კოიკა ALDA-ს წევრ და წევრობის მსურველ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრისას მხარეებმა ისაუბრეს ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებზე, ასევე მუნიციპალიტეტის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე.

ალექსანდრე კოიკას ჩვენს ორგანიზაციაშიც ვუმასპინძლეთ. შეხვედრის ფარგლებში ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, ნინო ხუხუამ, ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად ისაუბრა როგორც ორგანიზაციის საქმიანობასა და მიღწეულ შედეგებზე, ასევე მის მიზნებსა და ამოცანებზე.



## სტრასბურგის კლუბის შეხვედრა

2018 წლის 18-22 ნოემბერს, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო მონაწილეობდა სტრასბურგის კლუბის ევროპული სოლიდარობის ქსელის ყოველწლიურ შეხვედრაში. სტრასბურგის კლუბი აერთიანებს ადგილობრივ თვითმმართველობებს და ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების მიმართულებით.



შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო 18 ქვეყნისა და 30 ქალაქის წარმომადგენლები. ყოველწლიური შეხვედრა გაიმართა სტრასბურგის დემოკრატიის მსოფლიო ფორუმის ფარგლებში (Forum mondial de la Démocratie), რომელიც ყოველწლიურად ტარდება ევროპის საბჭოში და ესწრებიან ახალგაზრდა დელეგატები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მთავრობის წარმომადგენლები. გასულ წელს ფორუმის თემა გახლდათ გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები.

LDA საქართველო აქტიურად იყო ჩართული ფორუმისა და კლუბის სესიებში. ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, ნინო ხუხუამ დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა სტრასბურგთან თანამშრომლობის წარმატებული მაგალითები და ასევე, ისაუბრა თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობებზე.

## მშვიდობის კორპუსის მოხალისე



2017 წლის ივლისიდან, ერინ მაქგოუნის გახლდათ მშვიდობის კორპუსის „ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების“ მოხალისე. LDA Georgia -თან ერთად, იგი მონაწილეობდა სხვადასხვა პროექტში, მათ შორის, იგი ჩაერთო პროექტის, „ერთი მილიარდი ამბოხებული“ განხორციელების პროცესში, რომელიც 2018 წლის თებერვალში გაიმართა და რომლის მიზანსაც გენდერული ძალადობის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა. იგი ასევე ჩართული იყო Erasmus+ ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. 2018 წლის სექტემბერში, ერინის უშუალო ჩართულობითა და დახმარებით, LDA Georgia-მ განახორციელა გაეროს მთელი მსოფლიოს პირველი საერთაშორისო კონფერენცია.



გარდა იმისა, რომ იგი ყოველთვიურად ატარებდა ინგლისურენოვან ტრენინგებს ორგანიზაციის ბაზაზე არსებული ახალგაზრდული კლუბის წევრებისთვის, იგი ორგანიზაციის გუნდთან ერთად ასევე მუშაობდა მნიშვნელოვანი პროექტის შექმნისა და განხორციელების პროცესში, რომელიც ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების იდენტიფიცირებას ეხებოდა. ერთი აქტიურად იყო ჩართული LDA Georgia-ს სტრატეგიული გეგმისა და კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების პროცესში. ერთნაირად მათგან თავის მოხალისეობრივ საქმიანობას 2019 წლის ივლისის თვეში დაასრულეს.

საანგარიშო პერიოდი: 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით  
ფინანსური ანგარიში მოიცავს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. ამ ხნის განმავლობაში, გრანტის, სპონსორის და სხვადასხვა სახის შემოსავლებით მიღებულია 193 563,00 ლარი. აღნიშნული თანხა, მიღების წყაროების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

დონორი ორგანიზაციის დასახელება	მიღებული დაფინანსება ლარში
GIZ	28,632.00
EU/AYEG	24,348.00
DRC	18,384.00
EU/EaP	723.00
UNDP	4,481.00
Kutaisi City Hall	5235.00
ა(ა)იპ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი	1,811.00
(ა)იპ სამოქალაქო განვითარების სააგენტო	625.00
EVS	900.00
USAID/ACCESS	12,744.00
EU/KAS	59,380.00
ALDA	1,800.00
Membership fees	21,293.00
USAID/GYLA	13,208.00
	<b>193,563.00</b>



### DEAR COLLEAGUES!

As in previous years, 2018 was interesting and full of challenges. Our organization continued working with its team to promote local democracy and strengthen civil society. In 2018, LDA Georgia's activities were based on cooperation, dialogue with businesses, and capacity development principles. We carried out advocacy and lobbying activities that largely concerned the interests of marginal and socially vulnerable groups. Last year, the organization studied the inclusion of disabled persons in the electoral process. Based on this research, we provided recommendations for Georgia's Central Election Commission; the work will continue in the future. Gender equality and citizens' involvement in the decision-making process were priority issues for us. We conducted a study of the needs of the Imereti Region's municipalities and to lobbied for solutions to the problems with local self-government. In order to increase awareness throughout the Imereti Region about the Association Agreement with the European Union, we conducted

information sessions in villages and other communities. For the first time, LDA Georgia co-hosted an international Model United Nations conference with Georgian students and guests from Kutaisi's sister cities.

